ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 418

23 დეკემბერი
"_____" _____ 2016 წ.

ქ.თბილისი

ქ.თბილისში, ყაზბეგის გამზირი №25-ის მიმდებარედ 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.15.010.032) შპს „m2 ყაზბეგზე"-სთვის (ს/კ: 404991381) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ.თბილისში, ყაზბეგის გამზირი №25-ის მიმდებარედ, 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.15.010.032) შპს „m2 ყაზბეგზე"-სათვის (ს/კ: 404991381) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 30 ნოემბრის №46.11.967 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ.თბილისში, ყაზბეგის გამზირი №25-ის მიმდებარედ არსებული 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.15.010.032) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „m2 ყაზბეგზე"-სათვის (ს/კ: 404991381) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 900 (ცხრაასი) ლარის ოდენობით.

3. იჯარის მოქმედების ვადა განსაზღვრულია 15 წლის ვადით.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**